გიორგი გიორგაშვილი

საიდუმლო და უძველესი სწავლებანი

ჩიუნი ეძღვნება ქართველ ენას,
ყველა სინათლისა და სიმართლის მაძიებელს.

თბილისი
2019

რედაქტორი:	ანა გიორგაშვილი
გამოცემის რედაქტორი:	მარინე მარკოზაშვილი
ტექრედაქტორი:	ალექსანდრე კუზანაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	
	კახა გიორგაშვილი
კორექტორი:	ომარი ღაღანიძე ლიანა ელოშვილი

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა
„თეკა & კომპანია“-ში

© გიორგი გიორგაშვილი. თბილისი 2019.
ISBN 978-9941-8-1208-8

ბიბლია. იერემია თავი 33:3
„მომიხმე და გიპასუხებ, და გაუწყებ დიდსა და
მიუწვდომელს, რაც არ იცი შენ“.

ქართული ანბანი

ა	ᲐᲐ	ᲐᲐ	1
ბ	ᲑᲑ	ᲑᲑ	2
გ	ᲒᲒ	ᲒᲒ	3
დ	ᲓᲓ	ᲓᲓ	4
ე	ᲔᲔ	ᲔᲔ	5
ვ	ᲕᲕ	ᲕᲕ	6
ზ	ᲖᲖ	ᲖᲖ	7
თ	ᲗᲗ	ᲗᲗ	8
ი	ᲘᲘ	ᲘᲘ	9
კ	ᲚᲚ	ᲚᲚ	10
ლ	ᲛᲛ	ᲛᲛ	20
მ	ᲜᲜ	ᲜᲜ	30
ნ	ᲝᲝ	ᲝᲝ	40
ჲ	ᲞᲞ	ᲞᲞ	50
Ო	ᲟᲟ	ᲟᲟ	60
Პ	ᲠᲠ	ᲠᲠ	70
Ჟ	ᲡᲡ	ᲡᲡ	80
Რ	ᲢᲢ	ᲢᲢ	90
Ს	ᲣᲣ	ᲣᲣ	100

Ტ	ᲤᲤ	ᲤᲤ	200
Უ	ᲥᲥ	ᲥᲥ	300
Ფ	ᲦᲦ	ᲦᲦ	
Ქ	ᲧᲧ	ᲧᲧ	400
Ღ	ᲨᲨ	ᲨᲨ	500
Ყ	ᲩᲩ	ᲩᲩ	600
Შ	ᲪᲪ	ᲪᲪ	700
Ჩ	ᲫᲫ	ᲫᲫ	800
Ც	ᲬᲬ	ᲬᲬ	900
Ძ	ᲭᲭ	ᲭᲭ	1000
Წ	ᲮᲮ	ᲮᲮ	2000
Ჭ	ᲯᲯ	ᲯᲯ	3000
Ხ	ᲰᲰ	ᲰᲰ	4000
Ჯ	ᲱᲱ	ᲱᲱ	5000
Ჰ	ᲲᲲ	ᲲᲲ	6000
Ჱ	ᲳᲳ	ᲳᲳ	7000
Ჲ	ᲴᲴ	ᲴᲴ	8000
Ჳ	ᲵᲵ	ᲵᲵ	9000
Ჴ	ᲶᲶ	ᲶᲶ	10000

წინათქმა

სამყაროს შექმნა, დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენა და ღმერთის არსებობა, უდიდესი მისტერიებით არის მოცული. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს მსჯელობა, განხილვები, კვლევები, თუ რა და როგორ მოხდა. არსებობს უამრავი თეორია, ზოგიერთი მათგანი სიმართლესთან გვაახლოებს და ზოგიერთიც გვაშორებს, მაშინაც კი, როდესაც არ ვიცით ნამდვილი ჭეშმარიტება რა არის და მას შეფარდებითს ვუწოდებთ. თითოეული მოვლენის მიმართ, ყველა ადამიანს საკუთარი შეხედულება-მოსაზრება გააჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ვარსებობთ და არსებობს ბევრი საიდუმლო მეცნიერება, ფილოსოფიური მიმდინარეობა, რელიგია, ხელოვნება, საიდუმლო სკოლები, საზოგადოებები და რაც ყველაზე მთავარია იბერიულ=ქართული ენა და ანბანი, რომელიც სამყაროს გასაღებია და ღმერთისა და საკუთარი თავის შეცნობაში გვეხმარება.

დაფარული ცოდნა სამყაროს, ღმერთის, ადამიანის შესახებ, ათასწლეულების განმავლობაში გადაეცემოდათ რჩეულებს, უხუცესებს, ქურუმებს, სალოსებს, განდობილებს, შამანებს და სხვა სულიერ ლიდერებს. არსებობდა საკმაოდ ბევრი ლიტერატურაც, მაგრამ დროთა განმავლობაში წარღვნების, არეულობების და ომიანობის დროს, ეს ლიტერატურა ნადგურდებოდა და იკარგებოდა. მათი უდიდესი ნაწილი, ახლა ვატიკანის (ვატიკანი=კავის ტანი) უზარმაზარ და ტიბეტში „ლა ჰასას“ (ლა=ღმერთი, ჰ=ქართული ანბანის ბოლო ასონიშანი და ასა= სულის სამყოფელი ადგილი = უფალი ამბობს, „მე ვარ ანი და ჰოე“. ქართული ანბანი და ენაა ღმერთის სამყოფელი, სატახტო ადგილი) მისტერიებით მოცულ ბიბლიოთეკაში ინახება. სწორედ იქ, ინახება და იფარება ჩვენი იბერიულ=ქართული ანბანის საიდუმლო= რომელიც არის სჯულის კიდობანი= გრაალის თასი და სიცოცხლის ხე. სამყაროს ენის, იგივე ქართული ენის დაფარულ და საიდუმლო ცოდნას, კარგად ფლობენ სხვადასხვა მსოფლიო საიდუმლო სკოლების და საზოგადოებების წევრები და გამოღვიძებული, გასხივოსნებული სულის =

სინათლის ოსტატები, მაგრამ ჩვენ იბერიელებმა – ეს ღვთაებრივი ენა, რომელიც არის ლაზარეს=ღმერთის=სინათლის ენა დავაძინეთ, მაგრამ ახლა ლაზარე აღსდგა, ქრისტე=სინათლე დაბრუნდა და მთელს მსოფლიოს იბერიულ=ქართულ ენაზე განიკითხავს. დღეს, მსოფლიო მოსახლეობის 97% მატერიალურ მომხვეჭელობაზეა გადასული, მათ თავისი ღმერთი დაივიწყეს, ისინი ცდილობენ ბედნიერება ჰპოვონ ფუფუნების საგნებით, მაგრამ მას ვერ პოულობენ და ყოველთვის უკმაყოფილებასა და სიცარიელეს განიცდიან. იმას კი არ ფიქრობენ, რომ ამ სამყაროს მიღმა სხვა უფრო მნიშვნელოვანი სულიერი სამყაროები არსებობს და მათი შეცნობა სიცოცხლის მთავარი არსი და საზრისია.

ამ წიგნში გადმოცემული უძველესი ცოდნით, ქართული ანბანით და ენით ღმერთი გვესაუბრება სამყაროს შექმნის და მართვის კოდზე, კოსმიურ, უნივერსალურ ცოდნაზე, დაფარულ სწავლებებზე, იბერიის, კავკასიის და ქართული ენის უდიდეს საიდუმლოებაზე, რაც კაცობრიობამ დაკარგა, მაგრამ ახლა უკვე დღის სინათლეზე გამოვიდა და მის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყო. იბერიამ აღიდგინა თავისი პირვანდელი ბრწყინვალება, დიდება და დაიბრუნა ჭეშმარიტი, ერთგული (ერთი+გული) შვილები. თუ გვინდა, რომ თითოეული ჩვენთაგანი, საზოგადოება, ქვეყანა და კაცობრიობა გადარჩეს, განვითარდეს და წინ წავიდეს, აუცილებელია ამ წიგნში მოცემული უძველესი და საიდუმლო სულიერი ცოდნის მიღება და სწორი ფორმით გამოყენება. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს იცოდეს, ვინ არის, საიდან მოვიდა და რა მისია აკისრია ხილულ სამყაროში=დედამიწაზე. ხალხმა უნდა შეძლოს თავისუფლად აზროვნება, სწორის და არასწორის გარჩევა. ამ ყველაფრის ცოდნა მიღწევა კი შეუძლებელია ღმერთის ენის=იბერიული ენის ცოდნის გარეშე.

უფლის წყალობით, საშუალება მომეცა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მემოგზაურა, მესწავლა მსოფლიო რელიგიების ინსტიტუტში, სხვადასხვა საიდუმლო სკოლაში და გავმხდარიყავი გიორგი გურჯიევის და კიდევ სხვა რამდენიმე

ეზოთერული საზოგადოების წევრი. მექსიკაში დავუფლებოდი შამანიზმს, მაიას და აცტეკების ცივილიზაციის საიდუმლოს.

მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის და სწავლის შემდეგ, უფალმა ისევ საქართველოში=ძველ იბერიაში, მსოფლიო ცივილიზაციის სათავეში დამაბრუნა და მაპოვნინა დაკარგული საგანძური: ქრისტეს სამყოფელი, წმინდა გრაალი, სიცოცხლის ხე, ნოესა და სჯულის კიდობანი, ხილული და უხილავი სამოთხე, ზეცისა და დედამიწის საიდუმლო კოდი, რომელიც ამდენი ხანი იმალებოდა და რომელზედაც ჩვენი დიდი წმინდანები და უხუცესები გვაძლევდნენ მინიშნებებს.

მე დამეკისრა მისია დამეწერა აღნიშნული წიგნი და შემექმნა „საიდუმლო და უძველესი სწავლებანის იბერიულ+კავკასიური მსოფლიო აკადემია“, სადაც უკვე დავიწყეთ იმ სულიერი ცოდნის სწავლება, რაც პირველ ცივილიზაციებს-ჰიპერბორეებს=იბერიელებს, ლემურიელებს, ატლანტებს, არიელებს, ბორჯღალოსნებს, გეორგიანელებს გააჩნდათ.

წიგნზე მუშაობის განმავლობაში აქტიური ძლიერი ტელეპატიური კავშირი მქონდა ჩვენს იბერიელ წმინდანებთან, განდობილებთან და მფარველობას მიწევდა წმინდა გიორგი, რომ ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული საქმე და ჩემი ვალი მომეხადა ღმერთის, „დიდებული თეთრი საძმოსა“ და ჩემი ქვეყნის წინაშე, რისთვისაც ღმერთს და წმინდა მამებს უდიდესს მადლობას ვუხდი დიდი თავმდაბლობითა და მოწიწებით, რადგანაც სამყაროში, როგორც ხილულში ისე უხილავში, ღმერთის და წმინდანების ნების გარეშე არაფერი არ ხდება. მათ წამაკითხეს დაფარული საიდუმლო წიგნები და მაჩვენეს ზეციური, ამქვეყნიური და დედამიწის ქვეშ არსებული სამყარო, რომლის ცენტრიც არის იბერიის კავკასია. მანახეს ასევე უზარმაზარი გვირაბები, ქვებით მოკირცხლული და მის სარკმელებში ჩამომდინარე წყალი. ეს არის ადგილი სადაც ზეციერი მზე დაესვენება და გამთენიისას ისევ აღსდგება, რათა თავისი სითბო და ნათელი არ მოაკლოს ღვთის შვილებს=იბერიელებს.

ძველად, იბერიულ=ქართველური ტომები სახლობდნენ ევროპაში, მცირე აზიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში, საიდანაც

მათი გადინება და საღვთო ცოდნის გატანა, მიმობნევა მოხდა ოთხივე მიმართულებით მსოფლიოს სხვადასხვა კუთხესა და კონტინენტზე. საქართველოა ის ადგილი, სადაც 4 მხარის ქარი ქრის (ქრისტე) და სასიამოვნო სიოს მოგვფენს მთელს სახესა და სხეულზე. ჩვენ, იბერიელები გახლდით მსოფლიოს პირველი ცივილიზაცია, რომელმაც დასაბამი დაუდო მთლიან მსოფლიო კაცობრიობასა და მათ ევოლუციას, ამის შესახებ ჩანაწერები არსებობს, უძველეს წმინდა ტექსტებში, რომლებიც დედამიწის საიდუმლო ბიბლიოთეკებსა და ზეციურ აკაშას საიდუმლო ჩანაწერებში, გრაგნილებსა და დისკებზე ინახება. ახლა უკვე, ამ საიდუმლო დაფარულმა ცოდნამ იხილა დღის სინათლე და ის, ისევ იბერიაში თავის სამშობლოში დაბრუნდა. დაე, ამიერიდან= „მე“-ს შუაგულიდან გააზრებულად, სუფთა და წმინდა გულით ვადიდოთ მართ+ალი და თაყვანი ვცეთ ნათელს და აღარავის მივცეთ უფლება ღმერთის=სინათლის ცოდნა მოგვპაროს და გადააკეთოს.

„საიდუმლო და უძველესი სწავლებანის იბერიულ+კავკასიურ მსოფლიო აკადემია“-ში სწავლა შეუძლია მას, ვინც გამოღვიძების და სულიერი განვითარების გზას ადგას, საკუთარი თავის ძიებაშია, აინტერესებს, აპრაქტიკებს, სურს თავისი წვლილი შეიტანოს სინათლის გაძლიერებაში, ან ვერ გაურკვევია ვინ არის და რა უნდა ცხოვრებაში, ან სურვილი აქვს უბრალოდ გვერდში დაგვიდგეს და ამით ემსახუროს უფალს, საკუთარ თავს და სამშობლოს. ამ აკადემიაში ხდება „ესენებისა“ და „ქრისტე“-ს ცნობიერების შესწავლა, საიდუმლო და უძველესი მეცნიერებების, ხელოვნებების სწავლება, საიდუმლო ტექნიკების დაუფლება, სამეცნიერო კვლევებზე მუშაობა საკუთარი თავის შესაცნობად, ღმერთთან დასაკავშირებლად და ქართული ენის=ქრისტეს ცნობიერების (33) სწავლება, ჩვენი უცხოელი დებისა და ძმებისთვის, რადგანაც სამყარო ქართული ენის სისტემით არის მოწყობილი და მისი შესწავლით შემოქმედთთან დაბრუნება უფრო მარტივი ხდება. ამ ცოდნის მიღებით ფაქტობრივად ხდება „ადამიანის ხელახლა დაბადება“, „მეორედ მოსვლა“. როგორც იესო ქრისტემ ბრძანა:

„თუ კაცი ხელახლა არ დაიბადება,
ვერ იხილავს ღვთის სამეფოს“ (იოანე 3:3).

ეს გახლავთ მსოფლიოს პირველი ცივილიზაციის იბერების (საიბერია) „დიდებული საძმოს“ უძველესი სასულიერო საგანმანათლებლო აკადემია და ჩვენ ყველამ ერთად, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ და მსოფლიოს დავანახოთ, თუ ვინ ვართ და საიდან მოვდივართ.

ამ წიგნს ანალოგი არ აქვს მსოფლიოში, რადგანაც მასში მოცემულია ისეთი საიდუმლო ცოდნა, ახსნები და ხილვები, რომელსაც ერთად თავმოყრილს, ვერც ერთ მსოფლიო ეზოთერულ ლიტერატურაში ვერ წაიკითხავთ გარდა სიცოცხლის წიგნისა=ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნისა“. როგორც ბიბლია, ისე დიდი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ მთლიანად კოდირებულია და ამ წიგნში მოცემული ცოდნის გარეშე მათი ნამდვილი ეზოთერული მნიშვნელობისა და არსის წვდომა ძალიან გაგიჭირდებათ.

წიგნი „საიდუმლო და უძველესი სწავლებანი“-ს თითოეული თავი სპირალისებურად = დნმ-ის სტრუქტურით არის შექმნილი, შინაარსობრივად და აზრობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან, თითოეულ თავში მოცემულია საიდუმლოებანი, რომელიც 33-ე თავით სრულდება და ქართული ენით, ანბანით ხდება სამყაროში არსებული ყველა დაფარული საიდუმლოს გახსნა და შემოქმედის შეცნობა. ისე როგორც არსებობს სულიერი და ფიზიკური სამყაროები, ასევე არსებობს ამ წიგნის წაკითხვის ორი გზა. ეს არის ჩვეულებრივ წიგნის წაკითხვის დაწყება პირველი თავით ან მეორე, სულიერი, რომელიც არის კითხვის დაწყება 33-ე თავით და შემდეგ პირველი თავით გაგრძელება. თითოეული თქვენგანი, საკუთარი გამოცდილებიდან და სულიერი განვითარების დონიდან გადაწყვეტს, თუ როგორ წაიკითხოს. წიგნში მოცემული და ახსნილია უძველესი სწავლებები, სამყაროს კოდი, ღმერთთან დასაბრუნებელი გზა, მაგრამ ასევე განზრახ დატოვებულია ბევრი მინიშნება, რომელიც შენ თვითონ უნდა იპოვნო და დაასრულო. ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, ადამიანმა, რაც არ უნდა გითხრას, გაგიზიაროს, გას-

წავლოს და გარწმუნოს მანამდე არ დაიჯერებ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოცდი. ნათქვამია: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ნურაფერს ნუ დაიჯერებ და ნურც უარყოფ, უბრალოდ წაიკითხე, დაფიქრდი, გაანალიზე და მიიღე ის, რაც შენთვის არის სწორი და ჭეშმარიტი.

ამ წიგნის გამოცემა და აკადემიის დაარსება, ჯერ კიდევ სამი წლის წინ მინდოდა, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, იმდენჯერ ნიშანი მივიღე, რომ ჯერ ადრე იყო, მეც და საზოგადოებაც ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ დავიწყე წიგნების წერა. შემოქმედმა 5 წიგნი დამაწერინა და მათი საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტები, საიდუმლო სკოლები მომატარა, რათა უფრო მეტი მენახა, მესწავლა, ამომეხსნა და დამემტკიცებინა, რომ სამყარო ცივილიზაციის აკვანი და ცენტრი იბერიაა და ის ქართული ანბანით და ენით იმართება. ბოლოს კი მომცა გასაღები, რომელსაც თქვენ გიზიარებთ. ჩემი ხუთივე წიგნიც დაშიფრულია, მასში უფლის კოდი და სახელია ჩაწერილი, თუ აქამდე ვერ ნახეთ, შეგიძლიათ ახლა იხილოთ და დარწმუნდეთ, მაგრამ ჯერ ეს წიგნი უნდა წაიკითხოთ, რომ კარგად მიხვდეთ და გაანალიზოთ.

ამ წიგნში, გარდა კოსმიური გონიდან, ხილვებიდან, აკაშადან და ასტრალიდან მიღებული ინფორმაციისა, დამუშავებული და გადმოცემულია მატერიალური სასულიერო და საერო ლიტერატურაში არსებული ღია და დაფარული ინფორმაციები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ერთმანეთთან – „როგორც ზემოთ ისე ქვემოთ, როგორც მაკრო ისე მიკრო, როგორც ხილული ისე უხილავი“. ჩვენ ყველა დაკავშირებულნი, მიერთებულები, ერთი ღმერთის შვილები და ერთნი ვართ, ისე როგორც ერთია ღ+მ+ერთი = ქართული ენა= ამენით. მთელი მსოფლიო ხალხები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ არ იციან. თითქმის ყველა რელიგიის მიმდევრები ლოცვის ბოლოს ამბობენ „ამენ“ მაგრამ ეს ენა, რომელი იყო არ იცოდნენ. ამიტომ უფალი ყველას „ამენით“ განიკითხავს, როგორც აქამდე განიკითხავდა.

„ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო

მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა,
ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.
„ა მ ე ნ „= „მე ენა“ = ღმერთის ენა = ქრისტეს ენა= ლაზარეს ენა= სინათლის ენა = იბერიულ=ქართული ენა“.

ეს წიგნი საშუალებას აძლევს თითოეულ მაძიებელს, სინათლის და სიმართლის მოყვარულს, სწრაფად მიიღოს დაფარული საიდუმლო ცოდნა, იპოვოს პასუხები, შეიცნოს ღმერთში საკუთარი თავი და საკუთარ თავში ღმერთი, ხელახლა დაიბადოს, ემსახუროს უფალს და მეორედ გახდეს დიდი იბერიული ცივილიზაციის საგანძურის ჭეშმარიტი მცველი. საჭიროა, თითოეულმა ჩვენგანმა იქ ვეძებოთ და მივიღოთ პასუხები, სადაც რეალურად არსებობს და არა გარეთ ჩვენგან შორს. ბიბლია და ყველა უძველესი სწავლება მოგვიწოდებს – **„შეიცან თავი შენი“.**

„მე ვარ ანი და ჰოე!“

გაბრიელ ბერი.

„ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი, რადგანაც ქართველობა ღმერთში ცხოვრებაა!“.

მამა გიორგი ბასილაძე

„სიმართლეების ლაპარაკია მართლმადიდებლობა! ქრისტე ქართულ ენაზე გაასამართლებს ქვეყნიერებას!“

მამა ნიკოლოზ (ნარიმანი) მაქარაშვილი

ყველას გისურვებთ სიყვარულს, ჰარმონიას, სინათლეს და სიმართლეს!

+ამენ+

თავი 1 (ა).
საიდუმლო და უძველესი სკოლები

ასეულობით მილიონი წლის წინ, არსებობდა ერთი საყოველთაო, საღვთო ცოდნა და თითოეული ადამიანი ამ ცოდნით ერთმანეთს და შემოქმედს იყო დაკავშირებული. დროთა განმავლობაში ხდებოდა რასების განვითარება, ცვლილება, სულიერების დაკარგვა, მატერიალიზმზე გადასვლა და საერთო, საყოველთაო ღვთიური სიბრძნის დაკარგვა.

იმისათვის, რომ ეს სულიერი ცოდნა სულ არ დაკარგულიყო, იქმნებოდა საიდუმლო და უძველესი სკოლები, სადაც ხდებოდა რჩეულების ხელდასხმა=ინიციაცია, საღვთო ცოდნის მიცემა და კვლავ საწყისთან დაბრუნება. საიდუმლო სკოლები ინახავდა და იცავდა ცოდნას კოსმიური კანონების, სამყაროს და ადამიანის შექმნის, ბუნებასთან ჰარმონიული არსებობის, სულიერი განვითარების და ისევ შემოქმედთთან დაბრუნების შესახებ. აღნიშნული სკოლების მიზანი იყო ადამიანს დახმარებოდა, გაეხსენებინა და პასუხი გაეცა შემდეგ კითხვებზე:

ვინ ვარ?
რა ვარ?
საიდან მოვედი?
სად მივდივარ?
რა არის ჩემი მისია?

პირველად, დაახლოებით 20-18 მილიონი წლის წინ, დედამიწისა და ცათა საიდუმლო სწავლება, ცოდნა მიეცა მესამე რასას – „ლემურიელებს“, თავიაანთი სულიერი განვითარებისა და სიწმინდის დროს. ეს იყო პირველი რასა, რომელთაც ფიზიკური სხეულები გააჩნდათ. ბევრმა მათგანმა, ეს ცოდნა ძალაუფლებისა და სარგებლის მისაღებად გამოიყენა. დროთა განმავლობაში, მისი სწორი დანიშნულება იკარგებოდა. ამიტომ, აუცილებელი გახდა ამ უძველესი საიდუმლო სიბრძნის

სარჩევი

წინათქმა 4

თავი 1 (ა). 11

საიდუმლო და უძველესი სკოლები 11

თავი 2 (ბ). 25

7 კოსმიური კანონის საიდუმლო 25

თავი 3 (გ). 33

წმინდა გეომეტრია და სამყაროს შექმნის საიდუმლო 33

თავი 4 (დ). 48

ენერგიის, სიხშირის და ვიბრაციის საიდუმლო 48

თავი 5 (ე). 51

ადამიანი — სინათლის სხეული 51

თავი 6 (ვ). 56

ფიზიკური და სულიერი განზომილებები 56

თავი 7 (ზ). 60

ჩაკრები — ადამიანის ენერგეტიკული ცენტრები
და მათი საიდუმლო 60

თავი 8 (თ). 74

დედამიწის ჩაკრები 74

თავი 9 (ი). 81

მერიდიანები — ადამიანის ენერგეტიკული არხები
და მათი საიდუმლო 81

თავი 10 (კ). 89

კოსმოსის, დედამიწის, ადამიანის და მისი ორგანოების,
ეთერზეთების, მუსიკის, ჩაკრების ფერების, ემოციების და
ტვინის ტალღების სიხშირეები 89

თავი 11 (ლ). 101

ვიბრაციის აწევის საიდუმლო ტექნიკები 101

თავი 12 (მ). 103

მარხვისა და საკვების საიდუმლო 103

თავი 13 (ნ). 110

ბიბლიის საიდუმლო და მისი ნამდვილი
მნიშვნელობა 110

თავი 14 (თ ; ι.) **115**
სამი ექვსიანის (666) დიდი საიდუმლო 115
თავი 15 (ბ). **118**
მსოფლიო ცივილიზაციის 7 რასის საიდუმლო 118
თავი 16 (ჟ). **128**
7 ეკლესიის დიდი საიდუმლო 128
თავი 17 (რ). **134**
ყოვლისმხედველი ანუ მესამე თვალის დაფარული
საიდუმლო .....
თავი 18 (ს). **139**
ადამიანის აურა, მისი დანახვა და წაკითხვა 139
თავი 19 (ტ). **149**
ყველაზე დიდი საიდუმლო, რომელიც არასდროს
არ თქმულა = მეორედ მოსვლა 149
თავი 20 (უ). **160**
აკაშას საიდუმლო ქრონიკები 160
თავი 21 (ფ). **169**
ასტრალი და მასში მოგზაურობის საიდუმლო
ხელოვნება 169
თავი 22 (ქ). **179**
საიდუმლო სიმბოლოები და მათი ნამდვილი
მნიშვნელობა 179
თავი 23 (ღ). **188**
ტანტრა — უძველესი საიდუმლო სწავლება 188
თავი 24 (ყ). **199**
შამანიზმი და ღვთიური სასმელები
(აიავასკა, სან პედრო) 199
თავი 25 (შ). **210**
მაგიის საიდუმლო ხელოვნება და ყველაზე
მაგიური სიტყვა .....
თავი 26 (ჩ). **223**
ტელეპათია და აზრების წაკითხვის საიდუმლო 223
თავი 27 (ც). **232**
წყლის ძალა და მასში დაფარული საიდუმლოებანი 232

თავი 28 (ძ). **242**
ხელებში დაფარული უდიდესი ძალა და საიდუმლო 242
თავი 29 (წ). **246**
ზარეგის რეკვის უსაზღვრო ძალა და გაბრწყინებული
იბერიის საიდუმლო..... 246
თავი 30 (ჭ). **254**
სიტყვის, ლოცვის, აფირმაციების, გალობის, მანტრა-
იანტრის და მედიტაციის ძალა..... 254
თავი 31 (ხ)..... **268**
წარმოსახვისა და წარმატების საიდუმლო ფორმულა 268
..... 270
თავი 32 (ჯ)..... **272**
იოგა – უძველესი სწავლება და მასში დაფარული საიდუმლო

თავი 33. (ჰ) **284**
ქართული ენის და გ+ენის საიდუმლო 284
იოანე-ზოსიმეს „ქებაჲ და დიდებაჲ
ქართულისა ენისაჲ“ გაშიფვრა..... 284
გამოყენებული ლიტერატურა: 320